ტექნიკური დავალება

1.შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა და მოცულობები ატვირთული იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

2. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით, გარდა დამატებითი ღირებულების გადასახადისა. ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თუ სატენდერო განცხადებით გათვალისწინებულია სატენდერო წინადადების დღგ-ის გარეშე წარმოდგენა, პრეტენდენტი სატენდერო წინადადებას წარადგენს დღგ-ის გარეშე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი. ასეთ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ის გადამხდელი, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინოს წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა.

3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოთა დასრულების, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა/სასაქონლო ზედნადები) წარმოდგენის, სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესახებ აკრედიტირებული ექსპერტის ან საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

შენიშვნა: სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობის შესახებ ექსპერტის დასკვნის ღირებულება უნდა ანაზღაურდეს მიმწოდებლის მიერ. (დასკვნასთან ერთად, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი).

7. მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

8. შესრულებულ სამუშაოზე საგარანტიო პირობები უნდა მოქმედებდეს სამუშაოს ჩაბარებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

9. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს

ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად დასადები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა (წარმოდგენილ იქნას აკრედიტირებული ექსპერტის შესაბამისი დასკვნა არაუმეტეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად), ზუსტ თარიღს განსაზღვრავს სატენდერო კომისია და აცნობებს პრეტენდენტს). პრეტენდენტი ვალდებულია დასკვნასთან ერთად დამატებით წარმოადგინოს დასკვნის გამცემი აკრედიტირებული პირის შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობა.

10. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უცხოურ ენაზე ატვირთული ყველა დოკუმენტს ან/და ინფორმაციას თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

11. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

12. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ტექნიკური დავალების 1-11 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

შენიშვნა: შესავსები ხარჯთაღრიცხვის ფორმა ატვირთული იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

<u>პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემებია:</u>

ა) შესასრულებელი სამუშაოების განფასება, სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესავსები ფორმის შესაბამისად.